ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური

---

ბრძანება **№ 2293377**

გაცემის თარიღი: 19/11/2015

გაცნობის თარიღი: 20/11/2015

განცხადების ნომერი: AR1354181

შემოსვლის თარიღი: 03/11/2015

შედეგი: თანხმობა

მიწის ნაკვეთ(ებ)ი / ობიექტ(ებ)ი:

- საკადასტრო კოდი: 01.17.11.005.001
- მისამართი: ქალაქი თბილისი , გამზირი მოსკოვი , N 29
- ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
- ფართობი: 3675.0 კვ.მ
- მესაკუთრე(ები): შპს "შალვა" (206033111)

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

დამკვეთი - განმცხადებელი:

- შალვა კალანდაძე პ/ნ 01005007496
- მისამართი: თბილისი ლ.პასტერის ქ. N 5

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექურის სამსახურის **22.03.2011 წ. #339** მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

მოქ. შალვა კალანდაძემ **03.11.2015 წ. #AR1354181** განცხადებით მომართა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექურის სამსახურს და მოითხოვა სამსახურის **22.03.2011 წ. #339** მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა საპროექტო მიწის ნაკვეთის კონფიგურაციის ცვლილებასთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ **22.03.2011 წ.** ქ. თბილისში, მოსკოვის გამზ. #29-ში არსებულ საკადასტრო ერთეულზე კომერციული ობიექტის ასაშენებლად გაიცა **№339** მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. აღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გაცემულ იქნა საკადასტრო ერთეულზე: **№01.17.11.005.001** ფართით **3675**კვ.მ. ამავე სამსახურის **07.03.2013 წ. #577601** ბრძანებით შევიდა ცვლილება აღნიშნულ პირობებში.

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი საკადასტრო გეგმა (საკადასტრო კოდი **#01.17.11.005.001** ფართობი **3675** კვ.მ, რეგისტრაციის ნომერი **#882015265704**, რეგისტრაციის თარიღი 15.05.15წ.), რომლის თანახმადაც ირკვევა, რომ შეცვლილია საპროექტო მიწის ნაკვეთის კონფიგურაცია, ფართობისა და საკადასტრო კოდის უცვლელად.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა, შეიტანოს ცვლილება **22.03.2011 წ. #339** მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში საპროექტო მიწის ნაკვეთის კონფიგურაციის ცვლილებასთან დაკავშირებით.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ბრძანება

1. ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექურის სამსახურის **22.03.2011 წ. #339** მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს დაემატოს განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი საკადასტრო გეგმა (საკადასტრო კოდი **#01.17.11.005.001** ფართობი **3675** კვ.მ, რეგისტრაციის ნომერი **#882015265704**, რეგისტრაციის თარიღი **15.05.15წ.**) და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის ნომერი **N 882015560740**, რეგისტრაციის თარიღი **06/10/2015**);

2. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექურის სამსახურის **22.03.2011 წ. #339** მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ ფუნქციურ ზონად დაფიქსირდეს: საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ–1) და სარეკრეაციო ზონა 2(რზ–2);

სამშენებლოდ გამოყენების პირობებს დაემატოს შენიშვნა:

- მიწის ნაკვეთზე განისაზღვროს განაშენიანების რეგულირების ხაზი **1.8** მ(იხ.დანართი);

- შენობა–ნაგებობა განთავსდეს საზოგადოებრივ–საქმიან ზონა–1–ის (სსზ–1)–ის არეალში;

4. ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექურის სამსახურის **22.03.2011** წ. **#339** მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს დაემატოს ახალი დანართი: სქემა ფუნქციურ ზონებს შორის საზღვრის და განაშენიანების რეგულირების ხაზის დატანით (იხ. დანართი);

5. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექურის სამსახურის **22.03.2011** წ. **#339** მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან და ამავე სამსახურის **07.03.2013** წ. **#577601** ბრძანებასთან ერთად;

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: შარტავას ქუჩა #7) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

---

- კითხვების შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ: მერიის ცხელ ხაზს 2722222, არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციას, ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზს 2378346. ასევე მობრძანდეთ არქიტექტურის სამსახურის საკონსულტაციო ოთახში შარტავას ქ. #7 მერიის შენობა მეორე სართული ოთახი #9, ან რაიონულ გამგეობებში არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენლებთან.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

PDF ფორმატში ჩამოტვირთვა